დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს „მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი"-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო პატარაია, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ქეთევან აფთარაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ამირანაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გიორგი გვენეტაძე, პიზის უნივერსიტეტი, იტალია

თბილისი
2022

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	საქართველო, თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67
ვებ-გვერდი	www.alterbridge.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	11.12.2019 წელი, #48
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	11.12.2025

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	4
მაგისტრატურა	1
ერთსაფეხურიანი	0
დოქტორანტურა	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0
ქართულ ენაში მომზადების	0
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	5
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	0

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
400	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	55	16	
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის $ 3^{48}$ პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	3	-	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	56
- პროფესორი	26
- ასოცირებული პროფესორი	
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	30
- აფილირებული პროფესორი	
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	2
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	49
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

მპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯ“-ში ავტორიზაციის მონიტორნიგის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 26 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ერთ დღიანი ვიზიტის ფარგლებში ფიზიკურად, ადგილზე მოხდა დაწესებულების შენობის/ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. გასაუბრება დაწესებულების რელევნატურ პირებთან განხორციელდა ვირტუალურად, ზუმ პლათფორმის მეშვეობით, წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.

აღნიშნული დაწესებულება დაარსდა 2018 წელს საგანმანათლებლო ცენტრის "პიარ აკადემიის" მიერ, რომელიც 2012 წლიდან ადგილობრივ ბაზარზე მოქმედებდა უწყვეტი განათლების მიწოდების ფორმატით და დაინტერესებულ პირებს თავაზობდა კურსებს ზოგად მართვაში, სტრატეგიულ კომუნიკაციაში, ორგანიზაციულ კვლევებსა და ადამიანურ რესურსებში. ამჟამად ალტერბრიჯი ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი);
- ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი);

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი);
- საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი);
- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი).

სტუდენტების ამჟამინდელი რაოდენობა არის 55 (2022 წლის გაზაფხულის სემესტრის მდგომარეობით) და უსდ-ს მიზანია 2024 წლისთვის ამ რიცხვის 400-მდე გაზრდა. სასწავლო უნივერსიტეტის მთავარი ფინანსური საფუძველია სტუდენტების სწავლის საფასური. იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. უნივერსიტეტის შენობა განთავსებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი, N 67.

საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 16 და 17 ოქტომბერს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები შემდეგ პირებთან: პარტნიორთა საბჭოს წარმომადგენლებთან; რექტორთან, ვიცე-რექტორსა და კანცლერთან; თვითშეფასების ჯგუფთან; აკადემიური საბჭოსა და სკოლის საბჭოს წარმომადგენლებთან; ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან და აბიტურიენტთა და სტუდენტთა მომსახურების განყოფილების წარმომადგენლებთან; დეკანსა და პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიური პერსონალთან; მოწვეული თანამშრომლებთან; იურიდიული სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისა და უწყვეტი სწავლისა და კარიერული განვითარების ცენტრის წარმომადგენლებთან; მარკეტინგისა და პიარის სამსახურის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებთან; კვლევითი საქმიანობის ცენტრის წარმომადგენლებთან; ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკის კანცელარიისა და ლოჯისტიკის წარმომადგენლებთან; ფინანსური სამსახურის წარმომადგენლებთან; დაწესებულების მიერ შერჩეულ დამსაქმებლებთან და სხვა შესაბამის ჩართულ მხარეებთან.
ავტორიზაციის ვიზიტი მოიცავდა შენობის, მისი ობიექტების, შემოგარენისა და სივრცული გაფართოების პოტენციალის შემოწმებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას გაიცა შემდეგი ოთხი რეკომენდაცია:

1.2: ოპერაციონალიზაცია, სასწავლო ელემენტების შემუშავება (სემინარები, კურსები, ლექციები), სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შესახებ უკუკავშირი და მიზანი 1-ის (საზოგადოების ინფორმირებისა და ნდობის შექმნა) ხარისხის კონტროლი (სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026 წლებისთვის). მე-4 მიზნის გათვალისწინებით (სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა), ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევით შემუშავდეს მეთოდი და სისტემა მე-3 მიზნის (თვითრეალიზაცია) მიღწევის პროცესის დასაფიქსირებლად.
2.1: მიზანშეწონილია, რომ რექტორის უფლებამოსილება შეიზღუდოს და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს აკადემიური საბჭოს მინიმუმ 2/3 უმრავლესობით. ამასთანავე, არ უნდა შეიცვალოს აკადემიური საბჭოს, როგორც საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი.
3.2: სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავება ისე, რომ ცხადად ჩანდეს როგორ განივითარებს კომპეტენციებს სტუდენტი საჭირო კურსების ლოგიკური მიმდინარეობის პროცესში.
3.3. მიზანშეწონილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ. უფრო მეტიც, რეკომენდებულია მათი ჩართვა ამ მექანიზმების შექმნის პროცესში.
4.1: პერსონალის განვითარების მიზნობრივი ნიშნულების შემუშავება და მათი მიღწევის მექანიზმები

ამავე ავროიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაიცა შემდეგი რჩევები:

1.1: ყურადღების გამახვილება (ადეკვატური გზით) იმ თავსებადობაზე/ურთიერთმიმართებაზე, რაც არსებობს პირად და პროფესიულ თვითრეალიზაციას (საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების კონტექსტში) შორის. სტუდენტზე ორიენტირებული უკუკავშირის დამკვიდრება იმ ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით, რაც არსებობს პიროვნულ თვითრეალიზაციასა და პროფესიული უნარების განვითარებას შორის. კურსები კულტურათაშორისი უნარების გასავითარებლად, რათა დაცული იყოს მისიაში აღნიშნული კომპონენტი. PR აკადემიისა და უნივერსიტეტის დიფერენცირება, პროფილის შექმნითა და მარკეტინგის კუთხით.
1.2: დაკონკრეტდეს შემდგომი გეგმები PR აკადემიის როლთან დაკავშირებით, უწყვეტი სწავლისა და კარიერული განვითარების ცენტრის წინააღმდეგ.

2.1: ასევე, რეკომენდებულია, რომ აკადემიური საბჭოს წევრთა რაოდენობა აკადემიური პერსონალის შემადგენლობაზე კი არ იყოს დამოკიდებული, არამედ იყოს წინასწარ დადგენილი რიცხვი, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობას.
3.2: ციფრული მედიის ცოდნა და უნარები შევიდეს სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში.
3.3: მიზანშეწონილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ. უფრო მეტიც, რეკომენდებულია მათი ჩართვა ამ მექანიზმების შექმნის პროცესში.
7.1: Eduroam-ის (education roaming) ხელშეკრულების გაფორმება ,,საქართველოს სამეცნიერო–საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციასა" (GRENA) და ალტერბრიჯს შორის.
7.2 : სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება (იხ. ბიბლიოთეკის მიზანი ,,თ"; თვითანგარიშის დოკუმენტი; გვ. 75)
7.4: ანგარიშვალდებულების, ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის ეფექტური სისტემის განვითარებისთვის პრიორიტეტის მინიჭება, შიდა და გარე აუდიტორული სისტემის დანერგვა

საუკეთესო პრაქტიკად გამოიკვეთა:

1.1: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლის შედეგების მუდმივი მონიტორინგი.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

X ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 2019 წლის 16-17 ოქტომბერი

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1.2: ოპერაციონალიზაცია, სასწავლო ელემენტების შემუშავება (სემინარები, კურსები, ლექციები), სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შესახებ უკუკავშირი და მიზანი 1-ის (საზოგადოების ინფორმირებისა და ნდობის შექმნა) ხარისხის კონტროლი (სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026 წლებისთვის). მე-4 მიზნის გათვალისწინებით (სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა), ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევით შემუშავდეს მეთოდი და სისტემა მე-3 მიზნის (თვითრეალიზაცია) მიღწევის პროცესის დასაფიქსირებლად.	**სრულად შესრულებულია** დაწესებულებამ გაითვალისწინა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში. დაწესებულებამ სასწავლო პროგრამების ფარგლებში დახვეწა სასწავლო ელემენტები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და აკადემიური მოსწრების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების საშუალებები. სასწავლო პროგრამების ფარგლებში ასევე დაიხვეწა სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშემწყობი ინსტრუმეტები სასწავლო კურსების ფარგლებში მრავალფეროვანი აქტივობების და დავალებების ხარჯზე.

2.1: მიზანშეწონილია, რომ რექტორის უფლებამოსილება შეიზღუდოს და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს აკადემიური საბჭოს მინიმუმ 2/3 უმრავლესობით. ამასთანავე, არ უნდა შეიცვალოს აკადემიური საბჭოს, როგორც საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი.	**სრულად შესრულებულია** დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია, განახლდა სასწავლო უნივერსიტეტის დებულება, რომლის თანახმადაც აკადემიურ საბჭოს კვლავ აქვს საკონსულტაციო ორგანოს ფუნქცია, ხოლო რექტორის უფლებამოსილება ნაწილობრივ იზღუდება. კერძოდ, რექტორსა და აკადემიურ საბჭოს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, უპირატესია აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ მას მხარს უჭერს აკადემიური საბჭოს არსებული შემადგენლობის 2/3
3.2: სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავება ისე, რომ ცხადად ჩანდეს როგორ განივითარებს კომპეტენციებს სტუდენტი საჭირო კურსების ლოგიკური მიმდინარეობის პროცესში.	**სრულად შესრულებულია** დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია და განხორციელა შემდეგი ცვლილებები (წინაპირობები, კვალიფიკაცია, სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ა.შ), განხორციელდა განახლებული პროგრამის აკრედიტაციის პროცესი, რის შედაგადაც პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წლის აგვისტოში 1 წლითა და 8 თვის ვადით. აღნიშნული პროგრამა კვლავაც საჭიროებდა გადახედვას სტრუქტურისა და პროგრამის შინაარსში სასწავლო კურსების დამატებას შესაბამისი კომპეტენციების გასავითარებლად; შესაბამისად, დაწესებულების მიერ განხორციელდა ცვლილებები და წარდგენილ იქნა პროგრამა რეაკრედიტაციაზე;
3.3: მიზანშეწონილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ. უფრო მეტიც, რეკომენდებულია მათი ჩართვა ამ მექანიზმების შექმნის პროცესში.	**არ არის შესრულებული** დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი'', რომლის შემუშავების პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობა ინტერვიუს დროს არ დადასტურებულა, ამასთანავე, ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ უნდა გაიზარდოს მათი ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ შესაბამისი აქტივობების განხორციელებლით (ტრენინგი, საინფორმაციო შეხვედრები და ა.შ.)
4.1: პერსონალის განვითარების მიზნობრივი ნიშნულების შემუშავება და მათი მიღწევის მექანიზმები (ინგ: Develop certain benchmarks for staff development and mechanisms to achieve the benchmarks; თარგმანი: მოხდეს პერსონალის განვითარებისთვის სამიზნე ნიშნულებისა და მათი მიღწევის მექანიზმების შემუშავება)	**სრულად შესრულებულია** დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. კერძოდ, შემუშავდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლის ფარგლებშიც გაიწერა პერსონალის განვითარების სამიზნე ნიშნულები და მათი მიღწევის მექანიზმები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

2.1. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა დააჩქაროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვის პროცესი;
3.1. გამოიყენეთ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები და შედეგების შესაბამისად განახორციელეთ სტუდენთა აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები;
3.2. უსდ-მ უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ,,ინდივიდუალური სასწალო გეგმისა და მისი შემუშავების მეთოდოლოგიის'' ხელმისაწვდომობა/ვებგვერდზე გამოქვეყნება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მისი შემუშავება;
3.3. მიზანშეწონილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება (საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და ა.შ) სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ და მის განვითარებაში ჩართულობა;
5.2. რეკომენდირებულია, უსდ-მ განაგრძოს მუშაობა ინტერნაციონალიზაციაზე და გაიზარდოს აკადემიური გაცვლითი პროგრამებით მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობა;
6.1. გააძლიერეთ ,,კვლევითი საქმიანობის ცენტრის'' საქმიანობა მასზე დაკისრებული ფუნქცია-ამოცანების ეფექტიანად შესრულების მიზნით და გაზარდეთ აკადემიური პერსონალის ინფორმირების დონე უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების შესახებ;
6.2.1. უზრუნველყავით შიდა საგრანტო კვლევითი პროექტების დაფინანსება არსებული მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედებით;
6.2.2. უზრუნველყავით სტუდენტებისა და აფილირებული პერსონალის ფართო ჩართულობა სასწავლო უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში;
6.2.3. უზრუნველყოფილ იქნას კვლევითი მიმართულებით საერთაშორისო კავშირების მაქსიმალურად ამოქმედება.
6.3. უზრუნველყავით კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

რჩევები

2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააღრმავოს მუშაობა პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების მიმართულებით;
2.3. სასურველია, პლაგიატის პრევენციის ელექტრონული სისტემის შეძენა და დანერგვა მოხდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე;
5.1. სასურველია, გაზარდოთ სტუდენტთა ინფორმირების დონე უსდ-ში მოქმედი გასაჩივრების ფორმალური პროცედურების/სისტემის შესახებ;
5.2.1. სასურველია, უსდ-მ აქტიურად გააგრძელოს დასაქმების ფორუმების ორგანიზება და მოხდეს მონიტორინგი სტუნდეტთა აქტივობისა და კმაყოფილების;

5.2.2. სასურველია, კვლევებისა და აკადემიური საქმიანობის კუთხით სტუდენტებს ინტენსიურად ჩაუტარდეთ შეხვედრები და გაეცნოთ უნივერსიტეტის მიერ მიცემული შესაძლებლობები;

6.1. მუდმივ რეჟიმში განაახლეთ და გამოაქვეყნეთ ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (კვლევითი ცენტრი) მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი აქტივობების შესახებ;

6.2. სასურველია, გადაიხედოს ,,სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსების წესი'' საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კვლევით პროექტების მხარდაჭერის მიმართულებით.

7.4. სასურველია, მოხდეს დაწესებულების შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია, გაიზარდოს გარე საგრანტო დაფინანსებების შედეგად მოზიდული თანხები. გააქტიურდეს გამოყენებითი კვლევების კუთხით თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა

- დაწესებულებაში არსებული ფინანსური რესურსი, რომელიც გამოყოფილია აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობების წასახალისებლად;

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐

5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნინო პატარაია (თავმჯდომარე)
2. ნინო ამირანაშვილი (წევრი)
3. ქეთევან აფთარაშვილი (წევრი)
4. გიორგი გვენეტაძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯ“-ის მისიას წარმოადგენს ადამიანებისთვის პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზების ახალი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ალტერბრიჯი ქმნის კვლევისა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომ პირობებს, აყალიბებს საერთაშორისო პლატფორმას განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთქმედებისთვის, ხელს უწყობს მართვისა და კომუნიკაციის პროცესების გაუმჯობესებას ქვეყანაში. დაწესებულების მისია ითვალისწინებს როგორც საქართველოს, ასევე ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს და მკაფიოდ აყალიბებს მის როლს არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ გლობალურ საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში. დაწესებულების მიერ დეკლარებული მისია და პრიორიტეტები დასტურდება როგორ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (თვითშეფასების ანაგარიში, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები, ვებ გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია) და ასევე დაწესებულების მენეჯმენტთან და სხვა რელევანტურ პირებთან გასაუბრების საფუძველზე. წინა ვიზიტის ფარგლებში არ ყოფილა გაცემული ამ სტანდარტთან მიმართებაში რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულება აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე, ცნობადობის ასამაღლებლად და სტრატეგიული პარტნიორების შესაძენად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ალტერბრიჯის მისია; • ალტერბრიჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • ხარისხის სამსახურის კვლევები და ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიურიების შედეგები; • ავტორიზაციის შემდგომ განხორციელებული აქტივობები; • დაწესებულების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები; • დაწესებულების ვებ გვერდი: www.altebridge.edu.ge.
რეკომენდაციები: –
რჩევები: –
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).

- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯ"-ს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები. შემუშავებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის წესი"-ის თანახმად განისაზღვრა დაწესებულების მისია, ხედვა და ასევე გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები. სამუშაო ჯგუფმა გააანალიზა ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული განათლებისა და შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე დაგროვილი ცოდნა, საკუთარი რესურსით გამოიკვლია საქართველოში განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობის, ინტერნაციონალიზაციისა და სხვა აქტუალური მიმდინარე პროცესები. ალტერბრიჯმა ასევე გაანალიზა შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები, დამსაქმებლების პრობლემები და გამოწვევები. დაწესებულებამ ასევე მოახდინა SWOT და PESTEL ანალიზები. დაწესებულების სტრატეგიის დაგეგმვაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, უწყვეტი განათლების პროგრამების მონაწილეები, კერძო და საჯარო სექტორის დამსაქმებლები, საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, პასუხისმგებელმა პირებმა განსაზღვრეს დაწესებულების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, შეიმუშავეს შვიდწლიანი სტრატეგიული და სამწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც დეტალურად აღწერენ სასწავლო უნივერსიტეტის სამომავლო ხედვას/პერსპექტივებს და შესაბამისობაშია არსებულ გამოწვევებთან თუ ახალ შესაძლებლობებთან. აღნიშნულ სტრატეგიულ გეგმაში დაწესებულებას გამოყოფილი აქვს 9 ძირეული/პრიორიტეტულ მიზანი, დაკონკრეტებულია მათი მიღწევადობის ვადები და მათზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულება ახდენს მიზნების, ამოცანებისა და კონკრეტული აქტივობების შესრულების სტატუსის მუდმივ მონიტორინგის.

წინა ვიზიტის ფარგლებში ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა 1 რეკომენდაცია, კერძოდ:

,,ოპერაციონალიზაცია, სასწავლო ელემენტების შემუშავება (სემინარები, კურსები, ლექციები), სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შესახებ უკუკავშირი და მიზანი 1-ის (საზოგადოების ინფორმირებისა და ნდობის შექმნა) ხარისხის კონტროლი (სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026 წლებისთვის). მე-4 მიზნის გათვალისწინებით (სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა), ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევით შემუშავდეს მეთოდი და სისტემა მე-3 მიზნის (თვითრეალიზაცია) მიღწევის პროცესის დასაფიქსირებლად". დაწესებულებამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები სტრატეგიული გეგმის დასახვეწად და აგრძელებს სამოქმედო გეგმით გაწერილი პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების შესრულების რეგულარულ მონიტორინგს. დაწესებულებამ სასწავლო პროგრამების ფარგლებში დახვეწა სასწავლო ელემენტები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და აკადემიური მოსწრების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების არხები. სასწავლო პროგრამების ფარგლებში ასევე დაიხვეწა სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშემწყობი ინსტრუმეტები სასწავლო კურსების ფარგლებში მრავალფეროვანი აქტივობების და დავალებების ხარჯზე. ,,ალტერბრიჯი" თანმიმდევრულად მიყვება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმით გაწერილ პრიორიტეტებს და აქტოვობებს. დაწესებულების სამწლიანი სამოქმედო გეგმის ანაგრიში (2019-2022 წწ) და დაწესებულების რელევნატურ პირებთან გასაუბრების შედეგები ცხადყოფს, რომ ალტერბიჯი სათანადოდ ახდენს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტოვობების შესრულების შუალედურ მონიტორინგს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულებით/ინდიკატორებით და მყისიერად რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. ყოველი წლის დეკემბერში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული წარმოადგენს წლის ანგარიშებს სტრატეგიული მიზნებთან მიმართებაში, რომლებიც თავსდება უსდ-ს ვებ-გვერდზე. პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვებისა და სირთულეების გამო, ალტერბრიჯმა ვერ მოახერხა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ამოქმედება, თუმცა აგრძელებს ამ კუთხით მუშაობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ალტერბრიჯის მისია'
- ალტერბრიჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ხარისხის სამსახურის კვლევები და ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიურიების შედეგები;
- ავტორიზაციის შემდგომ განხორციელებული აქტივობები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;

• დაწესებულების ვებ გვერდი: www.altebridge.edu.ge.
რეკომენდაციები: –
რჩევები: –
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტანდარტის ეს კომპონენტი ავტორიზაციის პროცესში შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისი. ამასთან, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, რომ რექტორის უფლებამოსილება შეიზღუდოს და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს აკადემიური საბჭოს 2/3 უმრავლესობით. ამასთანავე, არ უნდა შეიცვალოს აკადემიური საბჭოს, როგორც საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი. რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, უნივერსიტეტმა განაახლა ,,სასწავლო უნივერსიტეტის დებულება“. მისი ამჟამინდელი რედაქცია ითვალისწინებს შემდეგ ჩანაწერს: ,,საბჭო უფლებამოსილია არ დაეთანხმოს რექტორის შენიშვნებს, მაგრამ აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად საჭიროა ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭიროს აკადემიური საბჭოს არსებული შემადგენლობის 2/3 -მა“ (მუხლი 12, პუნქტი 12.2.2). გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების გაცნობის შედეგად, დადასტურდა აკადემიური საბჭოს ჩართულობა უნივერსიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა განაახლა ორგანიზაციული სტრუქტურა. განახლებული სტრუქტურა გაწერილია „სასწავლო უნივერსიტეტის დებულებაში“ სადაც ნათლად არის აღწერილი და გამიჯნული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.

უსდ-ს წარმომადგენლებთან ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ სტრუქტურული ერთეულები კოორდინირებულად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო უნივერსიტეტი 3 წლის წინ დაარსდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია გუნდურობისა და ორგანიზაციული კულტურის მაღალი დონე.

უნივერსიტეტის მართვის პროცესში ეფექტურად გამოიყენება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საკომუნიკაციო არხები. დაწესებულებას აქვს ვებგვერდი: www.alterbridge.edu.ge, კორპორაციული ელექტრონული ფოსტა: info@.alterbridge.edu.ge და ფეისბუქ გვერდი. ასევე, საგანმანათლებლო პროცესებისა და სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა. იგეგმება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის E-Flow-ს დანერგვაც. ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ უნდა , დააჩქაროს აღნიშნული პროცესი.

სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაზე და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობას. ამასთანავე, ავტორიზაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად გამოკვეთილი იყო პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა. სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა გააღრმავოს მუშაობა ამ მიმართულებით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა, რომლის დანერგვის პირველი შედეგები ხელმისაწვდომი იქნება კალენდარული წლის ბოლოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;
- საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ინფორმაცია პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობების შესახებ;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორნიგის მექანიზმები და შეფასების სისტემა.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა დააჩქაროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვის პროცესი.**

რჩევები:

- **სასურველია, უნივერსიტეტმა გააღრმავოს მუშაობა პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების მიმართულებით.**

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის ამ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა. ავტორიზაციის პროცესში უსდ-ს შემუშავებული ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსური შიდა მექანიზმები, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ამ მექანიზმების დანერგვა ეფექტურად მიმდინარეობს. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობითა და კოორდინირებით ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევები (სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევები, სასწავლო პროცესის შეფასება და სხვა), კვლევის შედეგები გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესების, ასევე პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის.
ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტები: 2020-2021 წელს ჩატარებული კვლევების შედეგები და 2021-2022 წლის კვლევების დასამუშავებელი მასალა, რის საფუძველზეც დგინდება, რომ აღნიშნული მექანიზმების განხორციელება PDCA ციკლის სხვადასხვა დონეზეა. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა 2019 წლის მიწურულს, აქვს 5 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან ყველაზე ძველი აკრედიტებულია 2020 წლის ნოემბერში, ხოლო ყველაზე ახალი - 2021 წლის სექტემბერში და ჰყავს 2 კურსდამთავრებული, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის ეფექტურობის სრულფასოვნად შეფასება დროის მოცემულ მონაკვეთში არ არის შესაძლებელი.
სტუდენტების ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დადგენის მექანიზმი, რომელიც აღწერილია "სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პერსონალთან თანაფარდობის წესში".

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი: https://eqe.ge
- ავტორიზაციის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების სამსახურების მიერ ჩატარებული კვლევები, მათი შედეგები და დაგეგმილი აქტივობები;
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პერსონალთან თანაფარდობის წესი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის ამ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა. ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უზრუნველსაყოფად უსდ-ს შემუშავებული ჰქონდა მექანიზმები, რომლებიც ავტორიზაციის პროცესში შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში არსებული.

საანგარიშო პერიოდში პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმების დასანერგად უნივერსიტეტმა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- გააფორმა ხელშეკრულება „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ საინფორმაციო ქსელ კონსორციუმ 2017-თან“, რომლის ფარგლებშიც გახდა ანტიპლაგიატის სისტემის წევრი;
- განაახლა რელევანტური სასწავლო კომპონენტების სილაბუსები/კონცეფციები და დაამატა ინფორმაცია პლაგიატის შესახებ;
- ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები პლაგიატის პრევენციის საკითხებზე.

ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ უსდ-ს მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებული მექანიზმები ქმედითია და დანერგილია სასწავლო პროცესში. კერძოდ: სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია პლაგიატისა და მისი თავიდან აცილების შესახებ, წერითი ნაშრომები მოწმდება მსგავსების დამდგენი ელექტრონული სისტემით, უნივერსიტეტს აღრიცხული აქვს სტუდენტის წერით ნაშრომში პლაგიატის დადგენის 1 შემთხვევა.

ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ხელშეკრულება „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ საინფორმაციო ქსელ კონსორციუმ 2017-თან“ 10 ივლისიდან აღარ არის. მოქმედი, თუმცა უნივერსიტეტმა აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყო 2021-2022 წლის გაზაფხულის სემესტრის ნაშრომების შემოწმება და ამჟამად დაწყებული აქვს მუშაობა სხვა ელექტრონული სისტემის მოძიებისა და შეძენის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ავტორიზაციის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხელშეკრულება 2022-01/16;
- საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელ კონსორციუმ 2017-ის მიერ გაცემული ცნობა (22-07-22);
- ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების შესახებ;
- ინფორმაცია პლაგიატის პრევენციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ;
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები/კონცეფციები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ეთიკისა და ქცევის წესები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

- **სასურველია, პლაგიატის პრევენციის ელექტრონული სისტემის შეძენა და დანერგვა მოხდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე**

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბოლო შეფასების ფარგლებში მოცემული სტანდარტის 3.1. ქვესტანდარტთან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტს არ მიუღია რეკომენდაციები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და ინტერვიუს შედგებით დასტურდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და აღნიშნულ მეთოდოლოგიას ახორციელებენ პრაქტიკაშიც. სტუდენტებთან, პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმა, შემუშავება-განვითარების პროცესებში აღნიშნული მხარეები ნამდვილად ჩართულები არიან. ასევე, საანგარიშო პერიოდში პროგრამების დაგეგმვისა თუ განვითარებისთვის უსდ-მ ჩაატარა კვლევები შრომისა და განათლების ბაზრის შესწავლის 7 მასშტაბური კვლევა (მათ შორის საქართველოში განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის კვლევა, პროგრამების დასაქმების ბაზართან შესაბამისობის კვლევები, ,,სოფტ. სქილების'' კვლევა სასწავლო პროცესში ინტეგრირებისთვის და სხვ) და მჭიდროდ თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, დაწესებულებას 2022 წელს ჰყავს პირველი ნაკადი კურსდამთავრებულების და ისინი უკვე იღებენ მონაწილეობას შეფასების პროცესებში (ფორმალური - გამოკითხვა სპეციალური ანკეტით და არაფორმალური გზებით), მათ შორის პროგრამისაც. დაწესებულებას ასევე დაწყებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, რაც არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოიაზრებს შეფასების გამოყენებას პროგრამის განვითარებისთვის. ასევე, დასტურდება რომ ,,ალტერბრიჯი'' ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, თუმცა ჯერჯერობით ამ შედეგების გამოყენება არ მომხდარა; დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში დანერგა საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ და ყველა აკრედიტებული პროგრამის მიხედვით მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი ექსპერტთა შეფასებები; საანგარიშო პერიოდში აკრედიტაცია/პირობითი აკრედიტაცია გაიარა სტრატეგიული კომუნიკაციის, ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი), ფსიქოლოგიის პროგრამა და ამჟამადაც მიმდინარეობს წარმოების პროცესი მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე; დაწესებულება ზრუნავს არსებულ პროგრამების განახლება/განვითარებაზე, უსდ გეგმავს საჯარო მმართველობისა და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების დამატებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2019-2022) ერთ-ერთი ამოცანა იყო ,,პარტნიორი უნივერსიტეტების ჩართულობით ერთობლივი პროგრამების განხორციელება'', რაც საანგარიშო პერიოდში ვერ შესრულდა, თუმცა მომზადდა ბაზა ერთობლივი პროგრამების

შესამუშავებლად. კერძოდ, ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ უსდ ვარშავის მენეჯმენტის სკოლასთან ურთიერთთანამშრომლობით გეგმავს ერთობლივი პროგრამის შემუშავებას.

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა და გაუქმების მექანიზმი და აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პირობები. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და სტუდენტს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას, თუმცა საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ პროცესის პრაქტიკაში განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- **გამოიყენეთ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები და შედეგების შესაბამისად განახორციელეთ სტუდენთა აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები.**

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2019 წელს, სასწავლო უნივერსიტეტში ,,ალტერბრიჯი'' განხორციელებული ავტორიზაციის დროს, გაიცა რეკომენდაცია: ,,მიზანშეწონილია სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავება განოხირციელდეს ისე, რომ ცხადად ჩანდეს როგორ განივითარებს კომპეტენციებს სტუდენტი საჭირო კურსების ლოგიკური მიმდინარეობის პროცესში''.

აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა და განხორციელდა ცვლილებები კურსზე დაშვების წინაპირობების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების და ა.შ. ნაწილში, მოდიფიცირდა სასწავლო გეგმა. ასევე, განხორციელდა განახლებული პროგრამის აკრედიტაციის პროცესი, რის შედაგადაც პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წლის აგვისტოში 1 წლითა და 8 თვის ვადით. აღნიშნული პროგრამა კვლავაც საჭიროებდა გადახედვას სტრუქტურისა და პროგრამის შინაარსში სასწავლო კურსების დამატებას შესაბამისი კომპეტენციების გასავითარებლად; რის შედეგადაც გადახედილ იქნა პროგრამა და ამ ეტაპზე წარდგენილია რეაკრედიტაციაზე

საანგარიშო პერიოდში, დაწესებულების 3 პროგრამის აკრედიტაცია/პირობითი აკრედიტაცია განხორციელდა. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას ,,ალტერბრიჯმა'' იხელმძღვანელა მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით; ასევე, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით. უსდ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ამასთანავე, უსდ-ს ყველა პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას აირჩიოს არასავალდებულო კომპონენტი, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

პროგრამები დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებგვერდზე www.altebridge.edu.ge, თუმცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მეთოდოლოგია არ არის ვებგვერდზე გამოქვეყნებული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი აღნიშნული დოკუმენტი და ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი და შემდგომ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე წარმოდგენილია დოკუმენტი და ატვირთულ იქნა ვებგვერდზე მიმდინარე წლის აგვისტოში, რაც მოგვიანებით წარმოდგენის გამო ექსპერტთა მიერ ვერ იქნა გათვალისწინებული. თუმცა ის ფაქტი, რომ დაწესებულება სტუდენტებისთვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, დასტურდება უსდ-ს მიერ კონკრეტული ინდ. გეგმის ნიმუშის სახით წარმოდგენით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- **უსდ-მ უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ,,ინდივიდუალური სასწალო გეგმისა და მისი შემუშავების მეთოდოლოგიის'' ხელმისაწვდომობა/ვებგვერდზე გამოქვეყნება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მისი შემუშავება;**

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2019 წელს უსდ-ში განხორციელებული ავტორიზაციის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია: ,,მიზანშეწონილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ. უფრო მეტიც, რეკომენდებულია მათი ჩართვა ამ მექანიზმების შექმნის პროცესში''.

,,ალტერბრიჯმა" შეიმუშავა ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი", რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, ასევე იგი პერსონალისთვის წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს არ დადასტურდებულა მათი აღნიშნული მექანიზმის შემუშავებაში ჩართვის პროცესი და არც არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა. ამასთანავე, ინტერვიუს შედეგებითა და თვითშეფასების ანგარიშით დასტურდება, რომ დაწყებულია მუშაობა ,,სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად და ,,ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის მომზადდა სწავლის შედეგების შეფასების რუქები''.

შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები ნათლად არის გაწერილი და შესაბამისობაშია მოქმედ რეგულაციებთან, ასევე უსდ-ს გააჩნია მიღებული შეფასების გასაჩივრების სისტემა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გასაჩივრების პროცედურის ფორმალური გზების შესახებ ნაკლებ ინფორმირება (იხ. 5.1 ქვესტანდარის აღწერილობითი ნაწილი და რჩევა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (2022);
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- **მიზანშეწონილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება (საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და ა.შ) სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ და მის განვითარებაში ჩართულობა;**

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტანდარტის ეს კომპონენტი ავტორიზაციის პროცესში შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისი. ამასთან, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: მოხდეს პერსონალის განვითარებისთვის სამიზნე ნიშნულებისა და მათი მიღწევის მექანიზმების შემუშავება (Develop certain benchmarks for staff development and mechanisms to achieve the benchmarks). რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა დაგეგმა და განახორციელა შემდეგი აქტივობები: დაწესებულებაში შემუშავდა დოკუმენტი - ,,პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს, მათ შორის პერსონალის შეფასების ძირითად პრინციპებს. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები და პროცედურები აღიწერა „ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესში“, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები და პროცედურები - ,,აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების” წესში. აღნიშნული წესების მიხედვით, პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც მათი კარიერული წინსვლისა და წახალისების, ასევე პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისათვის. ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2021 წლიდან უნივერსიტეტმა დაიწყო პერსონალის საქმიანობის შეფასება, გამოავლინა კონკრეტული საჭიროებები და დაგეგმა შესაბამისი აქტივობები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღწეული პროგრესი პასუხობს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას პერსონალის განვითარების სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, ხოლო სამიზნე ნიშნულების მიღწევის შეფასება და მექანიზმების ეფექტურობის დადგენა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რ აც დაწესებულებას ექნება საკმარისი მონაცემები როგორც თავისი პერსონალის საქმიანობის, ასევე ამ საქმიანობის გაუმჯობესებისა და პერსონალის წახალისების მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევა/შერჩევის წესი, აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და განაახლა შრომითი ხელშეკრულებების ფორმები, რითაც უფრო მეტად სისტემატიზირებული და გამჭვირვალე გახადა პერსონალის შერჩევისა და მართვის პროცესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ავტორიზაციის დასკვნა; • ინტერვიუს შედეგები; • პერსონალის მართვის პოლიტიკა; • ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევა/შერჩევის წესი; • აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;

- ხელშეკრულების ნიმუში.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის ამ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით დგინდება, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას. აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრისთვის გამოიყენება "აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", სადაც განსაზღვრულია კონკრეტული მაჩვენებლები. ასევე, ინტერვიუებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ყოველსემესტრულად ხდება უნივერსიტეტში არსებული დატვირთვის სქემის განახლება, რომელიც მოიცავს პერსონალის სასწავლო/კვლევით და სხვა დატვირთვას. თვითშეფაშ ეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ აღნიშნული სქემა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, თუმცა ვიზიტის განმავლობაში მისი მოძიება არ იყო შესაძლებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- აქტიური სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ავტორიზაციის დასკვნა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 5.1 სტანდარტში სტანდარტში უსდ-ს რეკომენდაცია არ ჰქონდა მიღებული, თუმცა საბჭოს სხდომაზე გამოვლინდა კანონთან შეუსაბამობა - მაგისტრატურის კანდიდატს ჯერ ჩარიცხავდნენ და შემდეგ მასთან აფორმებდნენ ხელშეკრულებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უსდ-ს მიერ გამოსწორდა, მაგისტრატურაზე ჩარიცხვა დასტურდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის საფუძველია სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება. დაწესებულებას მოწესრიგებული აქვს მობილობის წესები. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, მისი მოძიება შეიძლება უნივერსიტეტის ვებსაიტზე. დაწესებულებაში არის გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა. სტუდენტებს აქვთ სწავლების პროცესის გასაჩივრების შესაძლებლობა და, როგორც პრაქტიკაში გაირკვა, უსდ მათზე სწრაფად და ეფექტიანად რეაგირებს. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებისთვის ბუნდოვანია ქულის გასაჩივრების პროცედურა, აღინიშნა რომ არასდროს დასჭირვებიათ და თუ დასჭირდათ შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ ლექტორთან ან ადმინისტრაციულ პერსონალთა. მიუხედავად იმისა, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, საჭიროა დამატებით შეხვედრები ჩაუტარდეთ ქულის გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტის ხელშეკრულებების ნიმუშები ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეთიკის კოდექსით რეგულირდება სტუდენტის ვალდებულებები და უფლებამოსილებები. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისი ყველა საჭირო დოკუმენტაცია და აგრძელებს მიღწეული პროგრესის გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტის ხელშეკრულება; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ნორმატიული დოკუმენტები; • ვიზიტისას წარმოჩენილი ფაქტობრივი გარემოებები; • სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პერსონალთან თანაფარდობის წესი.
რეკომენდაციები: -

რჩევები:

- სასურველია, გაზარდოთ სტუდენტთა ინფორმირების დონე უსდ-ში მოქმედი გასაჩივრების ფორმალური პროცედურების/სისტემის შესახებ

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს 5.2 სტანდარტში რეკომენდაცია არ მიუღია წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულება აგრძელებს მიღწეული პროგრესის განვითარებას. თითოეული პროგრამის სილაბუსში ლექციებს შორის განსაზღვრულია საკონსულტაციო საათი, სტუდენტებს აქვთ საშუალება, მოითხოვონ ლექტორთან ჯგუფური ან/და კერძო კონსულტაცია. სტუდენტებთან კონსულტაციის შედეგად მოხდა საგნების სილაბუსების მოდიფიკაცია პანდემიის პერიოდში, შეიცვალა დავალებების მეთოდები და შეფასების სისტემა სტუდენტების ინტერესების შესაბამისად. ზეპირი დავალებების ნაცვლად შემოტანილ იქნა წერილობითი დავალებები ქეისების სახით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში მოწესრიგებულია კომუნიკაციის სისტემა. ინფორმაციის გასავრცელებლად აქტიურად გამოიყენება კორპორატიული მეილები. უსდ ასევე იყენებს ფეისბუქ ჯგუფებს, რაც არააკადემიური სივრცეა, თუმცა მისი დახმარებით ამარტივებენ და სრულყოფილს ხდიან კომუნიკაციას, რათა სტუდენტს მიეწოდოს ყოველი ინფორმაცია. ინტერვიუზე მყოფი თითოეული სტუდენტი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები ღიები არიან მათთან კომუნიკაციისთვის და ხშირად უნივერსიტეტზე არაფორმალურ გარემოშიც საუბრობენ.

უსდ აქტიურად ზრუნავს სტუდენტების კარიერულ მხარდაჭერაზე. გაფორმებული აქვთ ოთხმოცზე მეტი მემორანდუმი დამსაქმებლებთან და წარმოგვიდგინეს თითოეულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები, ვაკანსიებთან დაკავშირებით აქტიურად იღებენ ინფორმაციას მეილებზე. ამასთანავე იყო ფაქტები, როდესაც სტუდენტებს აკადემიურმა პერსონალმა გაუწიეს რეკომენდაცია სხვადასხვა კომპანიებში დასაქმების მიზნით. ღია სივრცეში HR HUB-თან კოლაბორაციით ჩატარდა დასაქმების ფორუმი. სასურველია, ამ მხრივ გაგრძელდეს მუშაობა და გახშირდეს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული დასაქმების ფორუმები და მოხდეს მონიტორინგი სტუდენტთა აქტივობისა და კმაყოფილების შესახებ.

2021 წლიდან უსდ გააქტიურდა სტუდენტებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების მიცემით. ბოლო ორი აკადემიური წლის განმავლობაში ევროპის მასშტაბით მოკლევადიან გაცვლით პროგრამებზე(5-დღიდან 1 თვემდე პროგრამებში) 6-მა სტუდენტმა ისარგებლა და მიიღო მონაწილეობა. თუმცა სტანდარტის მოთხოვნის სრულყოფილად შესასრულებლად, აუცილებელია დაწესებულებამ განაგრძოს ინტერნაციონალიზაციის კუთხით მუშაობა, სტუდენტებს მიეცეთ აკადემიური და გძელვადიანი გაცვლითი შესაძლებლობები. უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა

სამეცნიერო კონფერენციები, სადაც სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა აქტიურად ჩართვის მიზნით, დაწესებულებას აქვს შემუშავებული სტრატეგია. წარმოგვიდგინეს დოკუმენტაციაც, სადაც ჰოლისტურად არის სამოქმედო გეგმა განხილული. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს აქვს მზაობა მხარი დაუჭიროს სტუდენტურ ინიციატივებს კვლევებსა და აკადემიურ პროექტებთან დაკავშირებით, ინტერვიუში ჩართულ სტუდენტებს არ გამოუყენებიათ ეს შესაძლებლობა. ამიტომ სასურველია სტუდენტებს უფრო ინტენსიურად ჩაუტარდეთ სა ინფორმაციო შეხვედრები კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებისა და წახალისების პროგრამების შესახებ.

უსდ-ს გააჩნია ფინანსური მხარდამჭერის მეთოდები. დაწესებულებაში გაწერილია სტიპენდიის გაცემის წესი და მოქმედებს შიდა გრანტები, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება ადგენს სხვადასხვა შეღავათებს სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის სტუდენტებისთვის. 2020 წლიდან დაფინანსების პროგრამით გაიცა 200 000 ლარამდე გრანტი. ამასთანავე პანდემიის პერიოდში სტუდენტებს შეუმცირდათ სწავლის გადასახადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტისას წარმოჩენილი ფაქტობრივი გარემოებები;
- სტუდენტთან კმაყოფილების კითხვარი;
- 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მონიტორინგის ანალიზი;
- მართვის და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯის“ კვლევითი საქმიანობის ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა;
- სასწავლებლად უცხოეთში გაშვებული სტუდენტების სია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტიპენდიის გაცემის წესი;
- დასაქმების სტატისტიკა;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დამსაქმებლებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- საბაკალავრო ნაშრომის მაგალითები.
- სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის და ჩართვის სტრატეგია
- მაგისტრატურის დებულება

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია, უსდ-მ განაგრძოს მუშაობა ინტერნაციონალიზაციაზე და გაიზარდოს აკადემიური გაცვლითი პროგრამებით მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობა.**

რჩევები:

- **სასურველია, უსდ-მ აქტიურად გააგრძელოს დასაქმების ფორუმების ორგანიზება და მოხდეს მონიტორინგი სტუნდეტთა აქტივობისა და კმაყოფილების;**
- **სასურველია, კვლევებისა და აკადემიური საქმიანობის კუთხით სტუდენტებს ინტენსიურად ჩაუტარდეთ შეხვედრები და გაეცნოთ უნივერსიტეტის მიერ მიცემული შესაძლებლობები.**

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბოლო შეფასების ფარგლებში მოცემული სტანდარტის 6.1. ქვესტანდარტთან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტს არ მიუღია რეკომენდაციები. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის საკითხები და ამოცანები სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამწლიან სამოქმედო გეგმაში. დაწესებულების სამწლიან სამოქმედო გეგმის მიხედვით კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად დაგეგმილი აქტივობებიდან, დაწესებულებას უმეტესი ნაწილი მეტწილად აქვს შესრულებული. ,,ალტერბრიჯი'' კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით თანამშრომლობს ხავადასხვა ეკონომიკურ აგენტებთან. სასწავლო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობითი მემორანდუმები აქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ცენტრთან, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტალური მედიცინის ცენტრთან და მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო კვლევით ცენტრთან, რუსთაველის და რონდელის ფონდებთან, Unicef Georgia-სთან. ასევე თანამშრომლობს GIZ, USAID და UNDP-თან. საანგარიშო პერიოდში სასწავლო უნივერსიტეტს Erasmus+-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - ERASMUS-EDU-2022-CBHE - შეტანილი აქვს პროექტი, რომელშიც ,,ალტერბრიჯთან'' ერთად სამი ევროპული და ხუთი ქართული უნივერსიტეტი მონაწილეობს. პროგრამის კოორდინატორი არის ,,ალტერბრიჯი''. პროექტის საერთო ბიუჯეტი კი შეადგენს 393,139 EURO. ასევე, 2022 წელს დაწესებულებას შეტანილი აქვს განაცხადი საგრანტო კონკურსებზე: Democracy Commission Small Grants Program 2022, აშშ-ს საელჩო; Book Translation Program (PAS) 2022, აშშ-ს საელჩო; ,,ალტერბრიჯმა'' საანგარიშო პერიოდში ჩაატარა სამი სამეცნიერო კონფერენცია და 2020 წლიდან გამოსცემს ელექტრონულ ჟურნალს: ,,თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები"; სასწავლო უნივერსიტეტში ასევე შექმნილია ,,კვლევითი საქმიანობის ცენტრი'', რომლის საქმიანობის მიზანია ,,ალტერბრიჯში'' მეცნიერული კვლევების განვითარების, ტექნოლოგიური და სერვისული ინოვაციების გენერირების ხელშეწყობა; მისი ფუნქციაა ასევე დახმარება გაუწიოს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს კვლევის შედეგების სწავლების პროცესში ეფექტიანად დანერგვაში, თუმცა ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ გასაძლიერებელია აღნიშნული მიმართულებით საქმიანობა. კვლევით ცენტრს უნივერსიტეტის ვებსაიტზე აქვს შექმნილი საკუთარი გვერდი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დასრულებული და მიმდინარე კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია არ არის სრულად გამოქვეყნებული; ამდენად, დაწესებულებას აქვს მისი, როგორც კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის ჩამოყალიბებული ხედვა და გეგმავს კვლევით აქტივობებს, თუმცა ინტერვიუს შედეგებით ჩანს, რომ დაწესებულების კვლევითი პრიორიტეტების შესახებ პერსონალის ინფორმირებულობა გასაზრდელია; სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება ხდება უსდს ,,მაგისტრატურის დებულებისა'' და „სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქციის“ შესაბამისად; ინსტრუქციაში ნათლად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციები;
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ელ-ჟურნალი ,,თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები [https://journal.alterbridge.edu.ge/index.php/tcms]; • ,,სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია; • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026; • სამოქმედო გეგმა 2019-2022;

- მაგისტრატურის დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქცია;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- **გააძლიერეთ „კვლევითი საქმიანობის ცენტრის" საქმიანობა მასზე დაკისრებული ფუნქცია-ამოცანების ეფექტიანად შესრულების მიზნით და გაზარდეთ აკადემიური პერსონალის ინფორმირების დონე უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების შესახებ.**

რჩევები:

- **მუდმივ რეჟიმში განაახლეთ და გამოაქვეყნეთ ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (კვლევითი ცენტრი) მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი აქტივობების შესახებ.**

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბოლო შეფასების ფარგლებში მოცემული სტანდარტის 6.2. ქვესტანდარტთან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტს არ მიუღია რეკომენდაციები. კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსების წესი'', ამავდროულად, საანგარიშო პერიოდში ,,ალტერბრიჯმა'' შეიმუშავა კრიტერიუმები, რომლითაც რეგულირდება დასაფინანსებელი პროექტების პრიორიტეტები და დაფინანსების მოცულობა. ,,სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსების'' წესის მიხედვით, ნაკლები აქცენტი კეთდება საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა პროექტების დაფინანსების საკითხზე. აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უსდ აფინანსებს პერსონალის მიერ მაღალ იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას და კონფერენციებში მონაწილეობას. ამავე წესის თანახმად, კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ხელშესაწყობად სასწავლო უნივერსიტეტი ყოველი წლის ბიუჯეტში მიზნობრივად განსაზღვრავს ფინანსური რესურსის მოცულობას, რაც შეადგენს საერთო ბიუჯეტის 7 - 10 %-ს წინასწარ დადგენილი ოდენობით ან შემდგომი მზარდი პრინციპით. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი 2020, 2021 წლების ბიუჯეტიდან ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში 2021 წელს წინა წელთან შედარებით ,,კვლევასა და ბიბლიოთეკის განვითარებაზე'' ხარჯი გაორმაგებულია; ინტერვიუებით დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალი და მაგისტრანტები იცნობენ კვლევითი აქტივობის მხარდაჭერის მექანიზმებს; აკადემიური პერსონალს გარკვეულმა ნაწილმა ისარგებლა მხარდაჭერის მექანიზმით და დაუფინანსდა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, სტატიის გამოქვეყნება, თუმცა ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტებისა და პერსონალისთვის შიდა საგრანტო კვლევითი პროექტების დაფინანსება ჯერ არ განხორციელებულა და იგეგმება არსებული წესის ამოქმედება.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდების მოსაზიდად. ამასთან, ინტერვიუები ადასტურებს, რომ აკადემიურ პერსონალი სტუდენტებს უჭერს მხარს და უწევს შესაბამის კონსულტაციებს კვლევით აქტივობებში (როგორც უსდ-ს მიერ, ასევე მის მიღმა ორგანიზებულ კვლევით აქტივობებში) ჩართვის მიზნით, თუმცა მათი ჩართულობის გაზრდისთვის იგეგმება არსებული მექანიზმების აქტიურად გამოყენება. სამწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად საანგარიშო პერიოდში სასწავლო უნივერსიტეტმა ჩაატარა 1 სტუდენტური კონფერენცია;

უნივერსიტეტი მაქსიმალურად ხელს უწყობს საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას საერთაშორისო ინსტიტუტებთან; ინტერვიუები ადასტურებს, რომ ,,ალტერბრიჯი'' გეგმავს ურთიერთთანამშრომლობა გამოიყენოს ერთობლივი კვლევითი პროექტების გასახორციელებლად, უცხოელი მკვლევრების ჩართულობით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● მემორანდუმები უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ● სამეცნიერო, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის და ჩართვის სტრატეგია; ● თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუს შედეგები; ● ბიუჯეტი; ● სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსების წესი; ● სამწლიანი სამოქმედო გეგმა 2019-2022.
რეკომენდაციები: • **უზრუნველყავით შიდა საგრანტო კვლევითი პროექტების დაფინანსება არსებული მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედებით;** • **უზრუნველყავით სტუდენტებისა და აფილირებული პერსონალის ფართო ჩართულობა სასწავლო უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში;** • **უზრუნველყოფილ იქნას კვლევითი მიმართულებით საერთაშორისო კავშირების მაქსიმალურად ამოქმედება.**
რჩევები: ● **სასურველია, გადაიხედოს ,,სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაფინანსების წესი'' საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კვლევით პროექტების მხარდაჭერის მიმართულებით.**
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბოლო შეფასების ფარგლებში მოცემული სტანდარტის 6.3. ქვესტანდარტთან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტს არ მიუღია რეკომენდაციები. პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევის ხარისხის შეფასების მექანიზმები და პერსონალის პროდუქტიულობის თვითშეფასების ფორმა, რომლის მეშვეობითაც, ყოველწლიურად, ფასდება აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები. ექსპერტთა ვიზიტის დროს დამატებით მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა პერსონალის თვითშეფასების შევსებული ფორმები, რომელთა ანალიზიც ვიზიტის პერიოდში არ იყო დასრულებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური/ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • თვითშეფასების ფორმა; • ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: • **უზრუნველყავით კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.**
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ამ ქვესტანდარტში არ ყოფილა გაცემული არცერთი რეკომენდაცია. აღნიშნული დაწესებულების მფლობელობაშია შესაბამისი უძრავი/მოძრავი ქონება, რომელიც უზრუნველყოფს მისი მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევადობას. დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებული მატერიალური რესურსი სრულფასვნად პასუხობს მათ მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის საჭიროებებს და შესაბამისობაშია არსებული/მიმდინარე თუ მისაღები სტუდენტთა კონტინგენტისთვის. ალტერბრიჯს გააჩნია თანამედროვე დიზაინის და სრულად აღჭურვილი შენობა, რომელშიც განთავსებულია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცეები, სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ოთახები, საკონფერენციო და შეხვედრების ოთახები, სამზარეული და კაფეტერია. დაწესებულების სრული სივრცე გამართულია ვენტილაციის, გათბობის, კონდიცირებისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემით (ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემები), შესაბამისი თანამედროვე ინვენტარითა და კომპიუტერული მოწყობილობებით. დაწესებულების ნებისმიერ წერტლში უზრუნველყოფილია შშმ პირების გადაადგილება, პანდუსები განთავსებულია ყოველ სართულზე და ყველა საჭირო სივრცე (მათ შორის საპირფარეშოც) ადაპტირებულია მათ საჭიროებებზე. დაწესებულებას საევაკუაციო გეგმა შედგენლილი აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით. სასწავლო უნივერსიტეტში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომლები. ალტერბრიჯს ასევე გააჩნია სრულად ეკიპირებული სამედიცინო ოთახი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაწესებულების რელევანტურ პირებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ ალტერბრიჯს აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი მისი მისიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, შესაბამისობაშია არსებულ და დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობასთან, დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა და გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- იჯარის რეგისტრაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ექსპლუატაციის ვადა;
- საევაკუაციო გეგმები;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, უსაფრთხოების კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დასკვნა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ;
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;
- ბიზნესუწყვეტობის გეგმა;
- დაწესებულების მატერიალური ბაზის ადგილზე დათვალიერება;
- დაწესებულების რელევანტურ წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა ვიზიტის ფარგლებში ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში არ გაცემულა რეკომენდაცია, თუმცა მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში მოხდა მისი ხელახალი შეფასება და გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკა შესაბამისი გარემოთი, რესურსებითა და მომსახურების მაღალი დონით უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება უსდ-ის ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით. დაწესებულების ბიბლიოთეკას გააჩნია როგორც მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი, ასევე გაციფრულებული ელექტორნული რესურსები, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო რესურსების სახით. დაწესებულებას აქვს შემუშავებული არსებული რესურსებისთის კატალოგი და ასევე მართავს რეგულარულ შეხვედრებს ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების შესახებ დაინტერესებულ პირებთან. ასევე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს ბიბლიოთეკის ინეგრირებულ საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან, რაც საშუალებას იძლება ყველა მომხმარებელს ჰქონდეს უწყვეტი წვდომა "ელექტრონულ ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL"-ზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლითეკით სარგებლობის წესი;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- ბიბლიოთეკის სამწლიანი სამოქმედო გეგმა 2019-2022;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები;

- ბიბლიოთეკის და ბეჭდური და ელექტრონული რესურსების ადგილზე დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა ვიზიტის ფარგლებში ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში არ გაცემულა რეკომენდაცია, თუმცა მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში მაინც მოხდა მისი შეფასება. დაწესებულებაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური კოორდინირებას უწევს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, რომელიც შედგება პროგრამული უზრუნველყოფის, ტექნიკური მხარდაჭერისა და ელექტრონული ბაზების მართვის პროცესებისგან. აღნიშნული პროცესების ეფექტურად უზრუნველყოფა იძლევა საშუალებას, რომ სასწავლო, ადმინისტრაციული და კვლევითი აქტივობები გამართულად განხორციელდეს. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე და გამართული ინფორმაციული ინფრასტრუქტურით და უზრუნველყოლია მისი მარტივი ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო, ადმინისტრაციული თუ კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად დანერგილია შესაბამისი ელექტრონული სერვისები და მათი მართვის მექანიზმები, ასევე არსებობს მათი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. დაწესებულების ვებგვერდი გამოირჩევა თანამედროვე, გამართული და დახვეწილი დიზიანით, რომელიც ინფორმატიულია და მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას როგორც ქართულ, ასევ ინგლისურ ენაზე დაწესებულების მმართველ ორგანოების, მისიის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმის, ნორმატიული აქტების, საგანმანათლებლო პროგრამების, სიახლეების, აკადემიური თუ ადმინისტრაციული გუნდის და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ. შიდა კომუნიკაციისთვის გამოიყენება პლატფორმა - Office 365.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა;
- ბიზნესუწყვეტობის გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება;
- დაწესებულების რელევნატურ წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა ვიზიტის ფარგლებში ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში არ გაცემულა რეკომენდაცია, თუმცა მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა მისი შეფასებაც. დაწესებულება ბიუჯეტს ადგენს მისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ამოცანების შესაბამისად. 2019-2022 აკადემიურ წლებში, ალტერბრიჯის შემოსავლის 3 ძირითად წყაროს წარმოადგენს: 1. სწავლის საფასურის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავლები; 2. უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობით მიღებული შემოსავლები, და 3. დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში გაკეთებული შენატანები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება სტუდენტთა რაოდენობის თანმიმდევრული ზრდა, თუმცა მათი რეცხვი ჯერ კიდევ არ არის გათანაბრებული ავტორიზაციით განსაზღვრულ კვოტასთან. თვითშეფასებაში ასევე იკვეთება დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში გაკეთებული შენატანების კლება წლების მიხედვით, რაც სწორი მიდგომაა. დაწესებულების მენეჯმენტმა პანდემია დაასახელა ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სტუდენტების კონტინგენტის გაზრდის კუთხით. ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად სასურველია მოხდეს დაწესებულების შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია, მაგ. გაიზარდოს გარე საგრანტო დაფინანსებების შედეგად მოზიდული თანხები. გააქტიურდეს გამოყენებითი კვლევების კუთხით თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს შიდა გრანეტების სისტემა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების თანახმად 2020-წლიდან 2022-წლის მაისის ჩათვლით სტუდენტება მიიღეს 177,910 ლარის დაფინანსება შიდა გრანტის სახით.

ფინანსური სამსახური ადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელის განხილვაში მონაწილეობს რექტორი, კანცლერი და აკადემიური საბჭო და მტკიცდება რექტორის მიერ უსდ-ის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ოთხწლიანი ციკლის განმავლობაში, ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე 4-5 თვით ადრე განიხილება მომავალი წლის ბიუჯეტი და ხდება ცვლილებების შეტანა ასეთი საჭიროებების პირობებში. განხილვაში მონაწილეობას იღებს რექტორი, კანცლერი და აკადემიური საბჭო. ამჟამინდელი მდგომარეობით დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ბიუჯეტი, რომ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო საქონლის თუ მომსახურების დროულ შეძენა და ადამიანური რესურსების ხარჯების დაფარვა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმები უსდ-ის დებულების საფუძველზე, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და შესაბამისი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

• ფინანსური დოკუმენტაცია; • დაწესებულების რექტორთან და კანცლერთან შეხვედრა.
რეკომენდაციები: -
რჩევები: • **სასურველია, მოხდეს დაწესებულების შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია, გაიზარდოს გარე საგრანტო დაფინანსებების შედეგად მოზიდული თანხები. გააქტიურდეს გამოყენებითი კვლევების კუთხით თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით.**
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	ინგლისურენოვანი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	
2	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართულენოვანი	ფსიქოლოგიის ბაკალავრი	240	პირობითი აკრედიტაცია	
3	საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა	ქართულენოვანი	საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრი	240	ავტორიზებული	
4	სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა	ქართულენოვანი	საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრი	120	პირობითი აკრედიტაცია	
5	მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა	ქართულენოვანი	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი	240	პირობითი აკრედიტაცია	